

# შინაური სამეცნიერო

Nº 9.

ფასი მითი შაური.

წლიური ფასი სამი მან.

წელიწადი მეოთხე

კოგელ-პირევული გაზითი.

კვირა, 2 1911 წელი.

( ყოველ-კვირეულ გაზეთ )

შინაური სამეცნიერო  
ჟურნალი  
Nº 117. და თბილის გამოცემაზე  
მართავა.  
გამოცემა გამოულ თვეში ითხო  
კომიტი, გარდა კვირეულის  
მართავა.  
გამოცემა გამოულ თვეში ითხო  
კომიტი, გამომართდა  
კომიტის, როგორ გამოვა გამოცემა.

გამოცემა გამოულ თვეში ითხო  
კომიტი, გამომართდა  
კომიტის, როგორ გამოვა გამოცემა.

გამოცემა გამოულ თვეში ითხო  
კომიტი, გამომართდა  
კომიტის, როგორ გამოვა გამოცემა.

გამოცემა გამოულ თვეში ითხო  
კომიტი, გამომართდა  
კომიტის, როგორ გამოვა გამოცემა.

გამოცემა გამოულ თვეში ითხო  
კომიტი, გამომართდა  
კომიტის, როგორ გამოვა გამოცემა.

შინაური სამეცნიერო  
ჟურნალი განცხადებებს.  
ნახით 2 განცხადებებს.  
ნახით 3 განცხადებებს.

**შინაური:** 1) ქუთაისი 3 აპრილი. 2) დი-  
დუბის ქართული ეკლესიის შესახებ—ხელისა.  
3) ჯვარზე—მღვდ. ი. ლუკიანოვისა. 4) ნარ-  
კვევი (ეურნალ გაზეთებიდამ). 5) პატარა ტრა-  
გელია—ჯაჯუსი. 6) ფშავ-ხევსურეთის სალო-  
ცავები—მღვდ. 7) გვირილი  
კვირაზდე. 8) ქართულ ლექსიკონის შემუშვევ-  
ბის შესახებ. 9) სია სამრევლოებისა, რომელ-  
თაც დაენიშნა დამატებითი ჯიმაგირი. 10) ახალ  
სოფელი (თიანეთის მაზრა)—ქართველი ოსებ-  
ში ნამყოფისა.

## ქუთაისი 3 აპრილი.

დასრულდა სამღვდელოების კრება და  
უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კრებამ გა-  
ნილებით აკობის წინანდელ კრებებს.  
თ. მცა უწესოება ბეჭრი ხდებოდა სხდო-  
მებზე მაგ., ერთმანეთის შეცილება, უკ-  
რილი, მღელეარება, უდროოთ და უადგი-  
ლოთ ლაპარაკე, მაგრამ ეს არც ერთი  
მოსახსენებელი არ არის იმ სიკეთეს-  
თან, რომელიც მან საშეილიშვილოდ დას-  
თესა.



კრატ დარალსა სამ რხი კ. სსა, რო  
მლის წევრობა სავალდებულოა უკეთა  
სამდგრელო და უკლესის მსახურ პირ-  
თათვის ეპარქიაში; გაიღო სამუალება,  
სახელდობრ 4 ათასი მანეთი, სასულიერო  
სასწავლებლის ძენობის შესავეთებლად;  
საჭირო სცნო სავალდებულო სასულიე-  
რო ორგანო, რომელიც სარწმუნოებრივ-  
ზნეობრივ წერილებს გარდა უნდა აც-  
ნობდეს სამდგრელოების თანამედროვე კა-  
ცობრიობის ცხოვრების იდეალებს, ან-  
გარიშს უწევდეს სარწმუნოებისა და უკლე-  
სიის მტრებს, და თავის დროზე ატერ-  
ბინებდეს ადგილობრივ და უმაღლეს სა-  
სულიერო და სამოქალაქო მართვბლობის  
განკარგულებებს. კრებაშ სასურველად სცნო  
დარალს საურთიეროთ დამხმარებელი  
სახოვალოება და ადორმინდებს არსებული  
სარწმუნოებრივ-განმანათლებელი წმ. გი-  
ორგის მმოა. — უკეთა ეს იმის ნიშანია,  
რომ სამდგრელოება შეგნებულად ჰქიდებს  
ხელს თავის საქმეებს, რაც დიდ იმედს  
იძლევა მომავლისათვის.

ჩვეულებრივ დიდი კამათი გამოიწვია  
კამაგირების განაწილების საქმებ. ეს მე-  
ორე წელიწადია, რაც სამდგრელოების  
მიენდო ეს საქმე. მარმანდელი დადგენი-  
ლება კამაგირების განაწილების თაობა-  
ზე გაუქმებულ იქმნა ადგილობრივ მთავ-  
რობისაგან. რა ბედი ეწევა წრევანდელ  
დადგენილებას არ ვიცით, მაგრამ იმედი  
გვაქვს, მართვბლობაც შეიგნებს უკანასკნე-  
ლად და ერთხელვე მინიჭებულ უფლებას  
სამდგრელოებისას არ შეება. მართალია

შეცდომები იქნება, მაგრამ სად არ არის  
ეს შეცდომები, ვინ დაიჩინების უცოდებე-  
ლობის და უცოდებლობის. ეს საქმე აძ-  
ლებ სანს, მარმანდლამდი, მართებლობის  
სეზში იუ და, ვინ ჩამოთვლის, რამდენი  
უსაბართლობა ხდებოდა? მორს რომ არ  
წავიდეთ, ვსოდეთ, რა საჭირო იუ, რომ  
მარმან ქუთხისის თუ ნამაღადევ მტატს  
ჯამაგირი არ დაიშორდა წინააღმდეგ ას  
კომლინ სოფლის სამრევლოებისა? ქუ-  
თაისში სრულყოთ საჭირო არ იუ ამ  
ორი ნამაღადევი მტატის გახსნა და თუ  
კინმე: დასაჭარეოფილებლად გაიხსნა, და  
და ცოდეა არ იქნებოდა, მეორე ან მესამე  
რიგში დანიშნოდა ჯამაგირი ამ ნაირად  
უსაბართლოება ბეგრი ხდება უკეთან და  
უაძლისობაც არ შეიძლება ჩვენ ბოროტე-  
ბამი ძოფ ქვეყანაზე, მაგრამ ჯამაგირების  
განაწილების ახალ წესის ის უპირატე-  
სობა აქვს მკერთან, რომ სამდგრელოების  
თუთ ანაწილებს მას და პასუხის ძგებუ-  
ლიც თითონ გამოდის თავის წინაშე;  
ამას გარდა მან უფრო იცის, სად არის  
ნამდვილი გაჭირვება, რადგან ამ გაჭირ-  
ვებას თუალით ხედავს და თვით განი-  
ცდის. ამიტომ მართებლობაც დიდი პა-  
ტიფით უნდა ეპურობოდეს სამდგრელოე-  
ბის დადგენილებას და ხელუხლებლად  
უნდა სტოკებდეს მის განკარგულებას ამ  
შემთხვევაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ  
წრევანდელი განაწილება მაინც დარჩება  
უცოდებლად, მით უფრო, რომ კრება ხელ-  
მძღვანელობდა მრევლის სიძლირით და  
სიღარიბით.

## დიდუბის ეკლესიის შესახებ.

ქართულ გაზეთებში დიდი მოქმა-მოქვება ამ უმთ თბილისის დიდუბის ეკლესიის თაობაზე. საქმე იმაშია, რომ კაი ხანია ამ ეკლესიაში თითქოს თავის თავად და ძალაუფლა-ნებლად შემოიღეს სლოვენური წირვა-ლოცვა ნაცელად ქართულისა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკლესია მაინც ქართველების საკუთრებათ ითვლებოდა და სახელიც ქართული ეკლესია ერქვა. დღეს სახელის წართმეტასაც უპირებენ და ისე უნდათ მოაწყონ საქმე, რომ ქართული წირვა-ლოცვის ხსნებაც არ იყოს შეიგ, ე. ი. ქართული ეკლესია რუსებს გადასცენ. ან კეტაც მოუხდენიათ დიდუბს მუხო-რებთა შორის და უმეტესი ნაწილი რუსი ამოჩნილა; მაშასადამე, ეკლესიაც მათ ეკუთვნის და წირვა-ლოცვაც რუსულ-დ უნდა სრულდებოდეს, ასკრინიან ის ზარუნები, ვისთვისაც ასე-თი დაკვენა ხელსაყრელია.

არ შეგვიძლია საზოგადოების სამართლიანი საყვედურისაგან დავითაროთ დიდუბის ქართველი მამები. ეკვი არ არის, რომ უმეტესი ბრალი ამ შემთხვევაში მათ ედება, მაგრამ არ შეგვიძლია ამასთანავე არ უსაყვედუროთ ქართველ საზოგადოებასაც, რომელიც ასეთ გულგრილობას იჩენს თავის სარწმუნოებრივ სიწმიდეთა მიმრით. განსაკუთრებით ცნობილია ამ მხრით ჩევნი ნასწარი თაობა, ინუ ეგრეთ წირდებული ინტელიგენცია, რომელსაც კვალ-დაკვალ მისდევს ჩევნი მონასტავლოთ და მოსწავლელ თაობაც. წელიწადი ისე გაივლის, რომ აღდგომასაც ურ შეისწრებ მათ ეკლესიაში. არა თუ დიდუბის ეკლესია, არამედ ქვაშეთიც და სხვა მრავალი ქართული ეკლესიები ცარიელია აღდგომასაც. ამიტომ გასაკურველი არ არის, რომ ჩევნი სიწმიდეები ხელიდგან გვე-ცლება. დიდუბეში რომ შევრია ქართველობა,

ეს ეპვ გარეშება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ ბევრისაგან სულ უმცირესობა არ დაისრება ეკლესიაში. ქართველებს რაღაც ბაზრის მოე-ლნებისაკენ უფრო ეხერხებათ კვირა-უქმე დღეს სიარული, მაშინ როდესაც სხვა ტომის ხალხი თავიანთ სალოცავებში მიეშურება. დარწმუნე-ბული ვართ, დიდუბის მამები რუსულ წირვა ლოცვის შემოღებას ვერ გაბედავდენ, რომ ქართველ მლოცველების რაცევი საგრძნობოდები ყოფილიყო. მე თითონ ბევრჯერ გამიწვევია ჩემი თბილისელი ნაცნობი ქართველები დი-დუბის ეკლესიასკენ კვირა-უქმე დღეს, მაგრამ ერთი შემთხვევაც არ მასის დამთანხმებოდენ და წმოსულიყვან. „მღვდელი ხომ არა ვართ ეკლესიაში წავიდეთ,“ ამ მათი ჩვეულებრივი პასუხი. ამის შემდეგ რა გასაკურველია, რომ ღვდელსაც გული გაუტყდეს და ეკლესიაში იმ ენაზე ცწიროს, რომლის მცოდნება და გამ-გონეს თვალით ხედავს?!

ყველაფერს ხელის მოვადება და პატი-ნობა უნდა. უამისოთ არა თუ ეკლესიებს, თავებსაც დავკარგავთ. ეკლესიები რომ შევი-ნარჩენოთ, საჭიროა შიგ დაიგირებოდეთ, მათ მსახურებს ვამხნევებდეთ ზეობრივად და ხელს უწყობდეთ ქონებრივათ და არა დავკინოდეთ, ვკიცხავდეთ და კლერიკალების სახელით ვნათ-ლავდეთ, მხოლოდ იმიტომ რომ იგინი ეკლე-სის მსახურნი არიან, სარწმუნოების წარმო-მადგენელნი არიან.

რა დამოკიდებულება სუფეს ჩენ ეკლე-სიას და ინტელიგენციას შორის, ეს ადვილი დასანახია თვით დიდუბის შესახებ დაწერილი სტატიებიდან. ყველა გაზეთები რაღაც ბოლი-შით იწყებენ თივიანთ წერილებს, თითქო ეკ-ლესია, როგორც სარწმუნოებრივი დაწესებუ-ლება ღირსი არ იყოს მათი სჯა-ბასისა, თითქო ეს ისეთი საკითხი იყოს ჩენ ცხოვრებაში, რომლის ანგარიშის გაწევა სადაღდებულო არ არის პრესისთვის. გასაკურველი არ არის, რომ ორ უგულო ძიძას შეა ბაჟში შიმშილით მო-კვდეს...

ყოველ შემთხვევაში არავის ნება არა იქნას სხვის საკუთრებას დაეპატრიონოს. ერთი

კიციც რომ ცხოვრობდეს ათას ოთახოვან სა-  
სახლები, ნება არავის აქვს სასახლე დაიმისოს. სანამ ერთი ქართველი მანქ დაირჩება თავის  
ეკლესიაში, მანამ უფლება არავის აქვს ეს  
ეკლესია სხვა ტომის ხალხს გადასცეს. დიდუ-  
ბის შესახებ საჭიროებაც არ მოითხოვს ამას,  
რაღაც ახლო-მახლო რუსებს რამოდენიმე ეკ-  
ლესია აქვთ, და თუ ეს არ კმარა შეუძლიანთ  
გაიშენონ ან ქართული წირვა-ლოცვით ისარ-  
გებლონ იმავე დიდუბის ეკლესიაში.

## ხელი.

ჯ ვ ა რ ზ ე პ.

ხალხი უკვე გამოსცდა ორპირი კარიბჭის  
თაღებს და გამოვიდა ქალაქ გარეთ. გარშემო  
მოცულია რაღაც ნოტიო, მკრთალი ნის-  
ლია. მარცხნივ ამაღლებული ქვიანი გორაკი,  
საღაც სდულს მუშაობა. მუშები საჩეროთ  
სთხრინ დიდ ორმოებს და ამზადებენ ბურჯებს  
ივაზითა დასაჯელად. ესენი უკვე ნახევრად  
გახდილები დგანიან; ჯალათებს მოუბამთ მათ-  
თვის თკები, რომ ბურჯებს მიაქრან. ესენი  
იყვნენ: გამხდარი და შევვრემანი ბარაბა და  
გაყვითლებული, თვალებ-ჩაგარდნილი დისმაი. პირველი გამორჩებით ატრიალებს თავის ქო-  
რის მსგავს თვალებს, ჰკუმშავს მუშტებს და  
სცდილობს თვეუს გაწყვეტის. მეორე, როგორც  
სხინ, ილაჯ-გაწყვეტილია, და თმა-გაწერილი  
წყნარით დგის.

მოწიფეები გაძყვენ ხალხს ქალაქის კედ-  
ლის კოშებდის, და შეშინებულებმა უკან და-  
იხიეს; დაიხიეს იგრეთვე იმანემ, იდკობდა და  
პეტრემ, მიუხედავიდ იმისა, რომ ამ უკანას-  
კნელმა პრკიცედ გადასწყვიტა გამოეცხადები-  
ნა თავისი-თავი იესოს მოწიფეოთ, თუნდაც ეს

თავისი სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. მა-  
გრამ ალარავინ აქცევდა ყურადღებას ამ უცნობ  
ადამიანთა ერთ-ბეჭვა გროვას. მოწაფეებმა შე-  
ნიშნეს იუდა, რომელიც, ქვებს ამოფარებუ-  
ლი მისდევდა ბრბოს; მისი პირისახე დამახინ-  
ჯ-ბული იყო ტანჯვით და ისეთი განუსაზ-  
ლვრელი სასოწარკვეთილებით, რომ მიუხედა-  
ვით მოწაფეების გაბოროტებისა გამცემელზე,  
მისმა უცდელრმა სახემ მთალბო მათი რისხვა  
და გამოიწვია მათში მხოლოდ ზიზღი.

სციმონ კვირინელმა, როგორც იყო, მო-  
იტანია ჯვარი გორაკის წვერზე და დასდო იგი  
მიწაზე; შემდევ ერთი კიდევ შეხედა საბრალო  
პატრიარქს, რომელიც მას უკან მისდევდა, იცნო  
მასში მქადაგებელი წინასწარმეტყველი, რო-  
მელსაც ის სთხოვდა საუკუნო ცხოვრებას. მას  
უცებ ნათლ-დ წარმოუდგა, რომ თუ ხალხი  
მიაი მოძღვრების თანახმად სცხოვრობდეს, ეს  
უათულდ მისცემდა მას დიდ შინაგან ნეტარებას.

— ნუ თუ ასეთი მოძღვრებისთვის სჯიან  
ამ კაცს? — ჰუკიქობდა სციმონი.

ასისთავმა უფლებრივ უბრძანა. მას წისუ-  
ლიყო, და ორმა ჯალათმა მოამზადა იქსო გა-  
სახდელათ. მან ერთი უცებ შეხედა ზეცას, შემდევ ძირს დოუშვა თვალები და მშვიდო-  
ბიანთ დანებდა გასახდელათ. დარაჯებმა სტა-  
ცეს მის ტანისამოსს ხელი, და ცილობა შე-  
ექნათ; რომ ვერაფრით მორიგდნენ, წილი  
ჰყოეს; მაგრამ აქაც, ვერ მორიგდნ, სანამ არ  
მოვიდა მეცველე ვინმე შობალი და არ  
დაარწმუნა იგინი, რომ არა ღირს ჩხუბად ძევ-  
ლი ტანისამოსი ვილაცა უცედერი დამნაშავისა;  
იგი დაგლეჯილია და ამოსერილი სისხლში.  
მათ შერიგებისთვის ის ყიდულობს მხედრები-  
საგან ამ ტანისამოსს ოთხ გროშათ, რაც ადვი-  
ლოთ და მშეცილებიანთ, შეუძლიათ გაიყონ  
ურთიერთ-შორის. ტანისამოსი მიყადეს შობალს,  
რომელმაც მაშინვე დაიწყო ხალხში სიარული და  
ძახილი: „ვაი იყიდის ტანისამოსს წინასწარმე-  
ტყველისას, რომელიც ეხლავე უნდა აწამონ!“  
ვყიდო ნახევარ ფასში — თორმეტ გროშად“...

მოიტანეს კალათით მთელი წყება გძელი  
რეინს ლურსმნებისა, რადგან გადასწყვიტეს

თოკით-კი ო მიეკრათ ნაზარეველი ჯვარჩე, არამედ მიელურსმნათ, იმის გამო, რომ იმა როგორლაც ეთქვა, ჯვარიდან ჩამოვალო. როდესაც დაინახეს, რომ სისტერის გამო თათქმის გული მისდომდა, მას მისცეს სასმელად ნაღველში ორეული ძმარი, მაგრამ მან უარი სთქვა ამაზე; და იმ წამს, როდესაც იგი ქანც გამოლეული უნდა წაქცეულიყო, ჯალათებმა ხელი სტაცეს და ჯვარჩე დასცდეს.

ბრძომ უცემ უკან დაიხია, არ უნდოდა დაენახა ის, რაც ეხლა მოხდებოდა, და მიჩუმდა. მას ეს ყოველივე სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი. სიმშეიდე, რომლითაც ის უმკლავდება ტანჯვა-წამებას, და თვალებში შესტევის მას წინ მდგომარე, სიკვდილს, ეს გმირული სიმშეიდე აწვება, როგორც მთა, მათ უწყალო გულს. უცემ რალც უნაური ხმა გაისმა! რა ამბავია? ააა! ეს ჩაქუჩის ცემა რკინაზე!..

— რა ძიელ აშაპუნებს სისხლი!.. — ჩურჩულებს ვიღია ხალხში. ორი ჩაქუჩით აქტდევენ ლურსმებს, და თითოეულ დაკვრაზე ირყვა ცა და დედამიწა. ხალხი გაყუჩდა; ხმაურობა უცემ შესწყდა ქალაქშიც; გაისმის მხოლოდ ჩაქუჩების რაკა-რუკა. უეცრათ ხალხში გაისმა გულსაკლავი კიფილი და ვიღია უცნობი დედაკაცი მძიმედ დაეცა მიწაზე.

ხალხი სულ უკან იხევს არავის უნდა დგომა წინ, პირველ წეუბაში, მაგრამ უცელას მაინც კისრები წინ წაუწვდიათ, რომ დაინახონ ეს ამბავი. აი ჯვარი ხან იმაღლდება, ხან დაშვება. მძაფრად მყაფიოდ გაისმის ბრძანება ასისთავისა, და ჯვარი ხელმეორეთ მაღლდება. ის ბრძოს თავზე გამოჩნდა თავი ჯვარისა, რომელზედაც მიკრულია თეთრი ფიკარი, შემდეგ გაიღიო-გარდონ მიკრული ხე, რომელზე-დაც დაკიდებული არის იდამიანის ორი მთრთოლიარე ხელი, შემდეგ გამოჩნდა ტანჯულის თავი, რომელიც მეტის ტანჯვით იქრუნჩება. თანდა-თან მთელი ჯვარი გატიტვლებული იდამიანის სხეულით იმართება პატრში და ბოლოს ისეთის ძალით ეშვება. ძირს, რომ სხეული უშეებს კრუკვნესას; სხეულის სიმძიმისაგან ნილურსმნი ჭრილობანი ხელებზე და უხეებზე

განივრად იგლიჯებიან, სისხლი თქრიალით ჩამოდის ფერმიხდილ სხეულზე ჯვარზე და ალტობს მიწას. ჯვარუმულის მკერდიდგან იმოგჯა ხმა-მალილი ვე-დრება:

„მამათ აპატიკ ამათ, რადგან არ იკიან რახა შეკრებიან.“

ხალხში დაიწყო დრტვინვა, და ისინი, ვინც ვერ გაიგონეს ეს ძახილი, ჰკითხულობები: ის ლოცულობს თავის მტრებისთვის? როგორ? ის ლოცულობს მტრებისთვის?

— მაში ის არ ყოფილი უბრალო კაცი!

— ის შენდობას აძლევს იმათ, ვინც და-სცინოდნენ, ცილი დასწავეს, სცემეს და ბოლოს ჯვარს აცვეს? სიკვდილის უმს ის ფიქ-რობს მტრებზე და შენდობას აძლევს მათ? — მაშასადამე, მას მართალი უთქვამს, ის ნამდვილიად ქრისტე. მე ყოველთვის ვამბობული, რომ ის ქრისტე. წარსულ შებათს მე ვიცანი იგი ქრისტედ, — ისმის ხალხში ასეთი ლაპარაკი.

მეცველე შობალმაც აუწია ფასი მესაიას ტანისამოსს და უკვე ოც ვერცხლიდ აფასებს.

— ეს თუ მესაია არის — ხრინწიანი ხმით ამბობს რაბინი, — მაში თავისი თავი იხსნას. გლახა მესაია ის მესაია, რომელიც სხვასა შველის და თავისი შველი კი არ შეუძლიან... — მოძღვარო, — ყვირის ერთი ვინმე ფარსეველთაგანი, — თუ შენ გინდა აღაშენო დანგრეული ტაბარი, დადგა ამისი ცრო. ჩიმო-დი ჯვარიდგან, და ჩვენ გირწმუნებთ.

იქსმ მწუხარებით თვეოლი მიაბყრო მათ, და ორივენი ერთბაშად გაჩუმდენ და მთავრდიათ სიტყვები წერილისა: „თქვენი ცოდვებისათვის უნდა მოკედეს!“

როდესაც ყველა მოშორდა, და ჯალა-თები დაემზადენ ივაზაკების ასამართვებო, ჯვართონ ბაზარის მიეკიდა ის დედაკაცი, რომელიც ამას წინათ გულშეწუხებული დაეცა. ირანებს მოპყებელი იგი; ეს ეხევევი ჯვარის საფეხურის, და სისხლი ჯვარუმულის იწვეთება მის მისი მწუხარება ისე უხაზლეროთ დიდია, თავთქმის შეიღი ხანჯალი ჰემირავდეს მის გულს. იქსმ უცქერის მის და მიბნელილი ხმით ამბობს: — ია, ანე, შენთვის ჩამიბარებია დედა ჩემი!

დედა ჩემო, აი ითანე იყოს ძე შენი!

— ეს მისი დედა? გაისმის ხალხში. სა წყალი დედაკაცი! ის ლამაზი ჰაბუკი მისი ძმა? საბრალონი, საბრალონი!

ბევრი თვალებზე ხელს იფარებს. დედაკაცები ქვითინებენ. ყრუ კვნესა გაისმის ხალხში, სწორეთ იმ ხალხში რომელიც დაუარებით თხოულობდა მის სიკვდილს.

— ის დიღხანს აღარ იტანჯება! ამბობს ვიღაც.

— პირიქით, მე-კი ვფიქრობ.. მე თვითეულ პასექზე ვესწრობი სასჯელებს, და ახლა...

— რა აწერია ფიცარს მისი თავის ზემოდნ?

— ეს პილატემ დადვა საქირდავად. და-წერილია: „იქსონაზარეველი, მეუფე ურიათა“.

— ეხლა ის შუაშია, — შენიშნა ვიღაცამ. ავაზაკების ჯვრები დგანან ერთი მარჯვნივ და ერთი მარცხნივ მისა. იმ ავაზაკს, რომელიც მარცხენა გვერდზე, წაუწვდია კისერი და დამახინჯებული სახით დასკრინის იესოს:

— მეგრობელი, შენც მგონია ერთი, იმათ-განი ხარ, რომელთაც სჯიან მხოლოდ იმის-თვის, რომ ისინი შშიშრები იყვნენ, ჩამოიდი ჯვარიდან, ეკვეთე მათ, და ეს უკეთურები გა-გაღმერთებენ შენ.

იესომ არაფერი უპასუხა მას, და მო-იბრუნა თავი იმ ავაზაკისკენ, რომელიც მარ-ჯვნივ იყო. სიკედილის შიშით შევყრობილმა ავაზაკმა დაყუშულ ცხოვრებაზე სინანულით, შეხედა იმას, რომელსაც ჟველანი გარშემო უწოდებენ მესსია — ქრისტეს. მაგრამ როდესაც მისი თვალები შეხვდნენ იესოს თვალებს, ავა-ზაკის გულმა უცებ მოულოდნელი ნეტარები-საგან შეიფანცქალა. დისმასმა ქვითინი დაიწყო.

— უფალო, შენ ზეციდან მოხვედ! მო-მიგონე მე, როდესაც დაბრუნდები შენს სა-მყოფელში.

— უკელი მონანულებს მიტევება! დისმა-სო, შენ დღეს ჩემთან იქნები სამოთხეში!

— ის ზეციდან მოსულია! — გუგუნებს ხალ-ხი. — ის ზეციდან მოსულია!

ერთი შხედართაგანი, მახვილს იგდებს ხელიდან, და ხმობს:

— კეშმარიტად ეს ძე ლვთისა არის!

ეს ძე ლვთისა არის! ეს ძე ლვთისა არის! გაანთავისუფლეთ ეგ! ძე ლვთისა დამოკიდე-ბულია ჯვარზე!

ეს ხმაურობა ყრუ ქუხილივით გაისმის ხალხში, რომელიც თითქოს უკვე გრძნობს თვის საშინელ შეცდომას, ისეთ საშინელს, რომელის მსგავსი არასოდეს არ მომხდარა ქვეყნიერებაზე. ის, რომელიც დამოკიდებულია ჯვარზე, — ძე ლვთისაა!

— ძე ლვთისაა! ძე ლვთისა! — არ სუხრე-ბა ხმაურობა ხალხში. ძე ლვთისაა ჯვარზე!

— ტანისამოსი გასაყიდი ლვთის ძისა ას ვერცხლად, ტანისამოსი ლვთის ძისა, — იძახის მექველე შობალი, რომელსაც ჯოხზე გაუკიდია იესოს ტანისამოსი და მაღლა აფრიალებს; ამას მხოლოდ მარტო ეს აწერებს, ამის დარღი იქნება, რადგანაც აქედან დიდ სარგებელს მოელის.

— ას ოქროთ ვაფასებ ლვთის ძის ტანი-სამოსა!

მაგრამ ხალხი, აღელვებული ასეთი უსიკ-დისო ვაჭრობით მაცხოვრის სიკვდილის დროს, უჯავრდება მას, და ის იმალება.

მღვდელ-მთავართაგან აღარავინ სჩანს, ყველანი წავიდნენ. დარჩა მხოლოდ ხრინ-წიანი რაბინი. ის ხმა-მაღლა კითხულობს ლოცვას, თითქოს გზას ულოცასო მომაკვდავს.

— ხმა გაიკინდე, — უყვირის მას ვიღაც, თქვენ არ დაღუპეთ განა ეგა?

— ვინ ჩვენ? — ეკითხება რაბინი სახის უმანკუ გამომეტყველებით.

— თქვენ, მწიგნობრებმა და ფარისევლებ-მა; თქვენა ხართ დამნაშევენი მის სიკვდილში და არა სხვა ვინმე!

— გონს მოდი, დარბაისლად უპასუხებს, რაბინი, დაფიქრდი, შეგიძლიან განა დაამტკიცო მრისხანე იეგოვას წინაშე ის სასტიკი ბრილება, რომელსაც შენ სდებ ყო-ევლივე პატივისკემის ლირს აღამიანებს! ეს ყველასითვის ცხადი უნდა იყოს, რომ ის დასაჯეს უცხოქერეუნელებმა, რომლებიც ყოველთვის შეადგენდენ ჩვენი ხალხის დაღუპვის მიზეზს. ყვე-ლიმ იცის, ვინ აცვა იგი ჯვარს ხალხის მო-

ხოვნილებით.

რაბინი მაინც საჩქაროდ უნდა დამალულიყო, რადგანაც თანდათან ხმამალლა გაისმოდა ლაპარაკი:

— მღვდელ-მთავრების ბრალია ეს! ხალხი და მსაჯული იმათ გავლენის ქვეშ იყვნენ.

— ჩუმათ, ის ჯერ კიდევ ცოცხალია!

უგულამ თვალები ჯვარს მიაჰყრო.

იქსომ გადმოსწია თავი ხალხისაკენ, და მომაკვდავება კვნესით წარმოსოჭქა:

— მწყურიან!

ასისთავმა უბძანა დაესველებიათ ღრუბელი ძმარში და ლერწმით მიეროდებიათ მომაკვდავისთვი.

ახალგაზრდა, თმა-გიწეწილი, ქალი სდგას ქვაზე ნიდაყვ დაყრდნობილი და კვნესით ამბობს:

— მაცხოვარო! მაცხოვარო ჩემო! ცოდვები! ჩემი ცოდვები!

იქსომ ერთი კიდევ გადახედა თავისიანებს, მსწრაფლ აიღო თავი და ხმა მაღლა შეჭრა-ლადა ზეცას:

— მამაო ჩემო! მიიღე სული ჩემი! მამაო ჩემო, ნუ დამიტევ მე!

რამდენიმე წუთს ის გაუნძრევლად უცქერის ზეცას ფართოთ გაღებული თვალებით. შემდეგ ამისი თავი ძირს იხრება და გულზე ეშვება.

იმანე ეცემა და თვალებზე ხელს იფარებს. ალესრულა!

შე დანერლდა, დედამიწა იძრა, კრეტიაბ-მელი ტაძრისა გაიპო თრად, საფლავები გაისნენ და მკედრები ილდგნენ.., გამოვიდნენ სუდარაში გახვეულები და ეჩვენენ თვისიანთებს.

— დასასრულია ქვეყნისა!..

— იქსო ქრისტე!..

როგორც გაზაფხულის ნაზი ნიავით, ისეა გარემოული შეგროვილი ხალხი ამ სახელით, ამ სახელით ბერებს მთელი იერუსალიმი, მთელი ურისტანი, და, როგორც სესხლის ნიავქარი, იგი ანთია მთელი დედამიწის გარშემო... .

ჯვართან, რომელზედაც დამოკიდებულია შეკედარი მოძღვარი, შეგროვდნენ მისი გახლო-

ბელნი. ისინი დღეს მეტია რიცხვით, მინამ გუშინ, და მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც წუხლ პყვიროდნენ: უჯვარსაცვ, ჯვარსაცვ, ეგე!..” მოწაფეები სდგანან გაჩუმებული. მარიამი, მისი დედა, სდგას ითანეს გვერდით ხოლო მის გვერდით — მაგდალინელი, ისინი არა-ჩვეულებრივ დამშვიდებულები არიან, ასე რომ თავს ეკითხებიან:

— როგორ შეიძლება ეს? ჩვენი იესო ხომ მოკვდა!

— ძმებო! — ეუბნება პეტრე, — მე ისეთი გრძნობითა ვარ შეპყრობილი, რომ თითქოს ის ცოცხალია.

— ის სცხოვრობს ჩვენში, და ჩვენ იმაში ამბობს ითანე.

ერთი ბართლომე არ არის დამშვიდებული. იგი ჰერთავს იაკობს, ხომ არ გაუგონია მას აგრთვე სიტყვები: „მამაო, არ დამიტეო მე!”

იაკობს აგრძელება მისი სხვა სიტყვები და სხვა მოწაფე. ის მიღის იქით, რომ იპოვოს იუდი და უთხრას მას, რომ როდესაც მოძღვარი კვდებოდა, მან აპატია თავის მტრებს და ანდერძათ დასტოვა მცნება: „მონანულ ცოდვილებს შენდობა!..”

მდ. ითანე დუქიანოვი.



## ნარკვები.

(ფურნალ-გაზეთებიდან)

— მმრის უფლება. საფრანგეთში მხოლოდ ამ მდგომარე წელში იქმნა გაუქმებული კანონი, რომლის ძალითაც ქმარს შეეძლო თავის კოლი მოეკლა, თუ იგი შეისწრებდა მას in corpus delicti. (გაზ. უტრო რუსეთ № 58).

საშუალო წრის ფრანციელის დახა-  
სიათება. საშუალო წრის ფრანციელი დღესაც  
ჩაფლულია თავის ჯიუტ სირეგნეზი. თავის  
კუნის (ან შესახვევის) გარდა მან არაფერი  
იცის და არც სურს იკოდეს. ხოლო თავის კუნით  
იგი უსაზღვროთ ამპარტავნებს; ამპარტავნებს  
და თავსაც ატყუებს. მისი აზრით ამ კუნით  
უაღრეს და უკეთეს არც შეიძლება იქნეს და  
არც უნდა იქნეს. ყოველივე ის, რაც მას  
გარშემო არყია, რასაც იგი შეეჩნია,—არის  
მარილი მთელი მსოფლიო კულტურისა, ხო-  
ლო თვით იგი კი—მისი მატარებელი. ამიტომ  
იგი თავისთავს არ აძლევს შრომას, გაიგოს  
რა კეთდება სხვაგან (Утро РОС. 58).

—გრაფ ტოლსტოის პირადმა მესაილუმ-  
ლე სტულ. ბულგაკოვმა განუცადა სათანა-  
დო მთავრობას, რომ იგი უარს ყოფს სამხედ-  
რო სამსახურს და ამიტომ უარს ამბობს სამსა-  
ხურზედაც. ბულგაკოვი დაპატიმრებს.

—პეტერბურგში ჩამოვიდა ანგლიკანელი  
ეპისკოპოსი. შის ჩამოსკოსის მიზანი, როგორც  
ამბობენ, ის არის, რომ გაეცნოს პროტესტანტ  
ეკლესიების მდგრმარეობას და საჭიროებას რუ-  
სეთში..

—ამ დღეებში ლონდონში გადაიხადეს  
ბაბლის 300 წლის იუბილე, რომელზედაც  
პრემიერ მინისტრმა ასკურტმა სიტყვა წარმო-  
სოქვა და წინადადება შეიტანა, ამ შესანიშნავ  
დღის აღსანიშნავათ დაიდგის ხელშეკრულება  
ინგლისისა და ამერიკას შორის, რომელმაც  
(ხელშეკრულობამ) უზრუნველ უნდა ჰყოს  
მშეიღობიანობა ამ ორ მა ხალხთა შორის.

(Утро)

—ამ უამაღ დუმში ირჩევა კანონ-პრო-  
ექტი შესახებ ქალისა და ვაურის თანასწორობისა  
მამულის მემკვიდრეობაში.

(Утро)

—ათინიდან „რესი“ ტელეგრამით ატყო-  
ნებები: 18 მარტს შესულგა ლექციების კით-  
ხვას უნივერსიტეტში ჭ-ნი პანაგიორასუ, პირ-  
ველი ქალი, რომელმაც პრივატლოეცნტის  
წოდება მიიღო. მან განაცხადა გადამდებ ავათ-  
შეოფობის კურსი.

პანაგიორასუს სტუდენტები მტრულად  
დაუხვდენ. ბევრი უციროდა: „ამიბძნიდით სა-  
რეც ითახში, მიბრძანდით საბავშო ითახ-  
შიო“. სტუდენტების ერთი ნაწილი გამოესარ-  
ჩილა ჭ-ნ პანაგიორასუს. შეიქნა ჯოხების ტრი-  
ალი და ცვების ბრიალი. ზოგიერთ ქალებს,  
რომლებიც ლექციის მოსამენად მოსულიყვ-  
ნენ, გული წაუვიდათ. მინისტრ პრეზიდენტი  
და მინისტრი იუსტიციისა. მოხვდენ ამ ცეკ-  
ლში. ბოლოს სკანდალისტები გააძევეს.

პანაგიორასუმ სრული მხედვობა შეინახა.  
დანარჩენის მშენელებმა და მინისტრ პრეზი-  
დენტმა პანაგიორასუს თანაგრძნობა განუცხა-  
დეს და წარმატება უსურვეს.

—გამ. „უტრო როსსი“ დიდუბის ეკლე-  
სიის საკითხს ეხება და ამბობს:

კავასიის სასულიერო წოდების უმაღლესს  
წარმომადგენელთა გამარტინებელი პოლიტიკა  
არ სუსტდება; პირიქით, საქართველოს ეგზა-  
ხოსის ინკვენტის მოქმედებით უფრო მეტად  
იზრდება.

შარშან. მან დიდუბის ეკლესიაში, რო-  
მელიც საქართველოს უძველეს სალოცავს  
წარმომადგენს, მთავრად თავისი ნათესავი და-  
ნიშნა. ეს მთავარი წინად ტამბოვის გუბერ-  
ნიაში მსხვერებდა. მან ქართული ენა არ იკო-  
და და მისი შესწავლა არც შეეძლო.

ამან ქართველებსა და ტამბოველ მთავრის  
შორის უთანხმოება ჩამოაგდო. მაგრამ მთა-  
ვარმა ყურიც არ გაიბერტყა.

მან სინიდს მისმართა და თხოულობდა,  
რომ ეკლესია რუსებისათვის გადაეცით. ამ  
გარემოებამ მთავრის წინააღმდეგ ქართველე-  
ბი უფრო გამწარა.

ამისთანა შემთხვევები ბევრიათ, —დასენს  
გაზეთი.

## პატარა ტრაგედია.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღისას ცქრიალა ლიმონის ფერ ტურფა ჰეპელის გამოელებიდა. იგი შეინძრა, ნამისაგან დასველებული ტანი შეს მიაშვირა, გათბა, მერე ფრთა-ფრთას შემოჰკრა და ლაქვარდში გაინვარდა; შემდეგ მობრუნდა და ნაცნობ ველისაკენ გაეშურა. მას უყვარდა აუერადებულ ველზე ყვავილიდგან ყვავილზე ფრიალი. როცა ჰეპელი ნაცნობ ველს ესტუმრა, უეტრად ხის ძირას ტურფად გადაშლილ ვარდს მოჰკრა თვალი. ჰეპელიმ ჰირ-მზეს ეშინათ აუქროლ-ჩამოუქროლა, შემდეგ ნაზად დაეშვა და ვარდის ბავევზე აბრეშუმის უებით ცოცვა დაიწყო. თურმე ვარდის ფურცლებში ბზიკი მიმალულიყო, ვარდის ნეკრარით გულს იტებობდა და მის მტვერში ითხუპნებოდა. ბზიკმა ჰეპელი რომ დაინახა, შეკრთა, თავი მოიქცა და თავის შეამინი ისარი შიგ გულში სტყორცნა; შემდეგ ვარდს მოშორდა და გაჯავრებული შინისკენ გაფრინდა; სასიკედოლოთ დაჭრილი ჰეპელი კი ჰაერში გასროლილ ქაღალდივით მიწაზე ფართალით დაეცა და ფართხალი დაიწყო.

ანაზღაურ მწვანეთ გამოწყობილი კალა გამოჩნდა.

— ეგ ჩა დაგმართია, მმობილო? ჰეკითხა კარიამ მომავალდავ ჰეპელის.

— ტურფა ვარდს საშიკოდ ვეწვიე და მის გულში მიმალულმა ბზიკმა კი სასიკედოლოთ დამჭრიო, მიუგო გულნარკენათ ჰეპელიმ.

— ყველა ლაშაზი ვარდის გული სოცარი გამოცანაა; მის მარჯნის ბაგებზე ცოცვის ნაცვლად რომ მის გულში ჩაგხედი, ეს არ დაგემართებოდა, მიუგო მწვანით მოსილმა კალიძმა და მოშორდა ჰეპელის. ჰეპელიმ უკანასკნელი ლონე მოქრიბა, ერთხელ კიდევ შეფრინდა, მაგრამ ქრისტიანობისაგან ლონე მხდლი ძირს დაეცა და სული განუტოვა.

ჯაჯუ.

## თშავ-ხევსურეთის სალოცავები

ცოდა რამ მათ და მათი მღლოცავების შესახებ.

(გაგრძელება \*)

თამათის სამღლოცავის ასე სამ დღიურამდე მიწა აქვს, რომელიც ცალმხრივ ყორით არის შემორტყმული, და ცალმხრითაც კლდე. მაგ, ჩავა კაფავნები მოჩნდის ძელთაგანი შენობები,— სახლები ქვით აგბული, ცეცხლით დაწვარ-დაბულებული მტრისაგნ; და მკედივე მშენისერი რომ სეიტებედ აშენებული სამრევლო. სამრევლოს თავზე ადგა ერთიანი სპილენძით დასურული გუმბათი, და სპილენძისაგნ მშენისერი მოზღდილი ჯვარი. ამ დაღმალ სანგრევებში არ გაირჩეა მეგლენია, და ნაეკულესიარი კი უნდა იუს სადმე, მაგრამ კერსად გერ შენისნე, თუმცა კი უკავებათ მეგლენია უნდა უოფილიერს თდესმე, თორემ მარტო სამრევლოს რათ ააშენებდენ. სამრევლოში ჭედდა თერთმეტ ფუთიანი ასა-და დროის დამაზი ხმანი ზარი. საკორკელი კა არის, როთი მოიტანეს კა ზარი, რადგანც აქეთ მარტო ცალბილია, ცხენით მისასელები გზებია და იმ თერთმეტ ფუთიან ზარს კა ცხენი გერ მოი-ტანდა. ამსათანავე აქეთ არის სამი, მაგარი ქვის სახლი ქვა-სიპით დასურული. კა სახლები მოდეს დროში ხალხს აუშენდა სამღლოცავის შერიგებლათ. აქეთ არის დარგული მრავალი იუ-ნის სები, და დაკავებულ გაფოსავით სახლისაგნ საფარისების, კ. ი. მდოცავის დასაბინავებული აღ-გები. ზაფხულში სწორეთ რომ, მშენისერი სუ-რით ესტება გაცს აქა; იქით-აქეთ მედიდური მოები დაჭურებული, თოთქოს დადებული თბარის სამღლოცავის მფარებლას უწევნო. სხვა და სხვა სტენებოვან მობაბინე გაავიდოთ ხო თქმა აღარ უნდა. ამ აღარს, ნასევარ კარიზე მოშორებით

\* იბ. „შინ. საქ.“ № 8.

აქვს, გარდა ციკი წევარო; ეტეობა, რომ ეს წევაროც ძეგლს დროში კარგათ გაეკეთებული ჭერნიათ და აქეთ უთვისება გამოიყანილი. საკვირველი ესარის, ამისთან სამღარცველო ადგილებზე საზოგადო ხალხს ერთო და ოგივე რწმენა აქვსთ ძაღლ-რბილში გამოყვანი. არ შეიძლება, რომ ამ გაფაქასს შეინიო შემთვიდეს კინგი, მუტარუ დედათვანი და ან გაიტანს რამე, ბოჭადლო რქით რომ გადაუდო შიგნითვან ფშავ-ხევსურს, აიღებს და იქვე, შიგნითვე გადმოისცრის: ეშინიან რომ ხატმა მიზეზი არ დაუკანოს, და ან არ დასაჭირო. სამწუხაროდ, ფშავ-ხევსურები, როგორც სხვაგან ქართლ-კეხეთში, და გილეგ უფრო ერთგმდათაც მისდევენ მეოთხების რჩევა დარიგებას და უარის უთქმელად სისრულეში მოჰქონთ მეოთხევის ნარჩევი. ზირუტყვია რომ მოუკედეთ, ან ნადარმა იძსხევილის, მშანევ მეოთხევის: უნდა მიაშერონ და გაიძერა მეოთხებიც, რასაგვირგელია, ხატის მიზეზის მაძრერენ. კადი ან სხვა თუ ან იარაღით დაიჭირა, ან დაკარგა რამე, ან აკა არის, უთუოდ მეოთხევის რჩევით ხატის მიზეზი არ და დიდის ქანებას ჭკარგავს ფშავ-ხევსური ხატის სამსაუზე. ხევის ბერებიც მეოთხევის სიტუაცის გერის უკრავენ. და მხათ არის ხალხის უმეტერებით იხსრებოდნ; და კიდეც ამისათვის ცდილობს უკალ გაიძერა კაცი, რომ ხევის ბერებ ჩაიწედოს სადმე სამღარცველოში და შეუგნებელი ხალხის ტკინი წოვას.

და შერის კვრის სამღარცველოს კი ნამდვირათ ეტეობა, როდისმე აქ ბერებს, უცხოვრინიათ, მაგრმ, დიდხასს კი არა. აქ მოხანს ეკელესია, და ტრაპეზი კი ჩაქრეულია, საიდნენ ამოქილეთ ადლ ნახევრიანი მუხის ფიცარი, რომელზედაც არის დახატული ერთი რომელიმე მახარებელთაგანი, რასაც უფრატედ დასატევდი სხვ ამტეიტებს. კედესია დანგრეულია, კედელს ერთი ადღის სამაღლე გიდეგ შემჩენია. კედელის აღმოსავადების მხრივ არის ერთი აკლდამა. აკლდამაში კინია ბევრი ძელები; ჩრდილოეთი კი სამრეკლოა, ექც ითხ სეტრედ დამარტებულია, და შიგა ჭიდოვა ძელი ზარები. ამ სამრეკლოს შემ არის ოოხი დიდი ჭერი (ჭერები), თოთოში ჩავა კი თხოთმეტი ჯანერი ჩაიფი (ესენიც საკვირველია რათი და რო-

გორ მოიტანეს.) ჩრდილოეთი სექტენტ ერთი სასახლიარია ხამდილი, ზეედან კიამიტის მაგიერ სის მე ქა ჭიფარებია. ამას ხალხი და სეკის ბერები, საბურო სახლს უწოდებენ. აქ ურა მრავალი სხელი და წერილი ზარები, ზოგი მთელი ზოგი გატესიდი, სულ ხალხისიგან შესაწირო. რასაკვირვედი სხვაზე მეტი აქ დიდი შესწირო შედის მღლოცავთაგან, მაგრამ სულ ხევის ბერდეგანი ზების ხედში მიდის და სხვამ არავინ იცის და არც კინებ კათხელობის, სად ან კის სამარტებენ ამ სიმდიდრეს. უმობების კი იურ, რომ აქ ეკვლესაა იურის და გაცი და მატრონი ჭერებები, მაგრამ სად და კის არის უკრის მიმგდები, და ან ხევის ბერ-დეგანო. ზებ-მეგითხავები კის გაუშებენ?

როგორც კსოვეთ თამარის სამღარცველოს, მშენიარი შემცელი მდებარეობა აქვს; აქ მოდის მეტა გარგი კარტოფილი, ქერი, სკელა შურა, გაზაფხულის დიგა და უკედა ნაირი ბლსტნის ნაუთვი მწერილებულება. რომ ადგისმე აქ მოხატერი გაეკედეს; ეს დიდათ სასარგებლო იქნება ხემის შეუგნებელი ხალხისთვის, რომელიც დიდს საგლავ-შესწირავს ღებული უმნაშენელოთ. მომავალში ახალთაობა მანც შეიგნებს რასმე და ბრძან მანც აღარ დაუწებენ ცერას მკითხავ ხევის ბერ-დეგანო ზების ბატონნას, და ცოტ-ცოტაობით მიხედებან ჭეშმარიტს ხატის და ღვთის მასხურებას.

როგორც ზევითაცა კსოვეთ, მდედელ-მოხატენი იღარიონი, ძრაველ სცდილობს ამ საგმეს, რომ აქ ეგდეგია ააშენის და ნამდვილი ღვთის მსახურება სრულდებოდეს. შევდი თუ რე წელია შეტარიდან გამოსტევდი და, თვის მოხეცებულობის არ მიმსედებლი, ამ საქმეს აღეს თავის უგანსკენ ძალ-ღონები, და სცდილობს როგორმე აქ ეგდეგისა ააშენის.

მამა იღარიონს რამოდენჭერმე გაუშერდეს ბინა და რამდენიმევერ ენსუბნენ, რომ ზების თამარ მეტეს აქ სულარი არა სურსო, წადი და მომორდი ამ აღაგსაო; მაგრამ სადაც მოროტებას, აქ კეთილი თესლიდი არსებობს. ღვთის მაღალ, ზოგიერთი გათილი მირების იმედით, დღეშინ მამა იღარიონი აქე მოღაწეობს და ცდილობს როგორმე საქმე სისრულეში მოიყვა-

ნოს. სსკათა მორის, როგორც სიტყვით ისეებ საქმით ქმიდებიან შემწეობის: მღვდელი მამა იაკობ ფანჯაძე, და გლეხი პავლე აბალაური (გოგოლაური), რომელსაც ფშვეში როწევადში ჩევს სისმლის და წერიმლის დუქნი. როგორც ამბობენ, მაკლე ბადაური, ფრიად საიმედო, შეძლებული და მორწმუნე გაფათ. ია დღეს ამათის და ამისთანავე ზოგი სხვა კეთილი პირების, იმედით და შემწეობით გუდი არ გაიტეს მამა იდარიონმა და დღეს-დღეობით, იმედ მიტევდი მოლეაწების, და იმედი აქეს დეთისა მაფათ, თუ თეთონ არა, სხვები მაინც მოესწორებიან იმას, რომ თამარ მეფის სამლოცველო გორაზე წესიერი დოცუაწინება სრულდებოდეს და ამოდენმა მაიმა ცდაშ და შრომაშ უსაფრთხო არ ჩაიართა. იმედია აგრეთვე, რომ ჩენია სასულიერო მთავრობაც კეთილი ინგების, და თანაგრძნობას გაუწევს მამა იდარიონის ამ კეთილ განზრახვაში... საზოგადოთ ფშევალ-ხევსურნი ხევისბერების დარიგების, უფრო იფერებენ და სწამო, კიდრე სხვა ჩამონებებისას. ხევისბერებისა და აქერ სადხსნის, განუწეველი კავშირი აქვთ ერთ-ერთმანეთ შორის. მკითხავსა და ხევის ბერების, რასაკვირველა, კუდი კუდი აქვთ გადაბმჟელი. როგორც რამე ხატის შესახებ საქმე აქვთ სილმე ხადხსნა, რასაკვირველა ხატის უნდა დაეკითხენ შკითხავის პირით, და როგორც ხატი უბაძნებო მკითხავის პირით, ისე უნდა მოიქცნენ. აქ, რასაკვირველა, მკითხავი გამოცდილია, და რაც თავისითვის, ხევისბერებისათვის და დეკანზებისთვისაც სასარგელოა ხატისაც იმას ამძხებინებს, რასაც, შეუგნებელი ხადხსი, კოვდის უარის უთქმებად უსრულებს.

მღვდელი ნესტონ ბაკურაძე.

(შედეგი იქნება)

## კვირიდან-კვირამდე.

→ ქუთაისში 25 მარტიდგან გამოვიდა ახალი ქართული ყოველ-დღიური გაზეთი „კოლხიდა.“

→ როგორც გავიგეთ, ამ ნააღმდეგოვეს ყ-დ სამლელელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდ თავის ეპარქიის ერთ საინტერესო კუთხეს—აქარას—დაათვალიერებს. ყ-დ სამლელელოს თან ეხლება მისიონერი მღვდელ-მონაზონი გამრიელი.

→ იმერეთის სამლელოების კრებამ 4000 მან. გადასდო ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესაკეთებლად. აქედან 1820 წ. სამლელოებას გამოერიცხება ჯამაგირიდგან, 1873 მანეთს სანთლის ღუქანი შეიტანს და 807 მანეთს უკლვსიები. თუ სოფლის სამლელოების დაქვეითებულ მატერიალურ მდგომარეობას მივიღებთ მხედველობაში, ეს დიდი სხვერპლია მისი მხრით. შეკეთების წარმოება ოჯახურის წესით მიენდო ცალკე კამისიას, რომელშიდაც არჩეულ იქმნა მღვდელნი იასონ კაპანაძე და გიორგი მუსერიძე და მასწავლებელი ან. გომირგაძე.

→ როგორც გავიგეთ, გორის ქორეპისკოპოსის თანამდებობა ისპობა. დღეს პირველ საქორეპისკოპოსოთ ალავერდია აღიარებული, ხოლო მეორეთ ბაქე.

→ სამლელოების 852 კრებამ გაზ. „შინაური საქმეები“ ერთი წლით სავალდებულოთ გაიხიდა.

→ იმერეთის სამლელოების სამარხი კასად მოქმედებას პირველი მაისიდგინ ღიწყებს.

— როგორც სარწმუნოთ გავიგეთ, მოწამეთა მონასტრის არხიმანდრიოტმა პატივუქეულმა მ. ნესტორმა (უუბანერშვილმა) რამდენიმე ათასი ცალი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წიგნები გაგზავნა იმერეთის, გურია სამეგრელოს

და ქართლ-კახეთის საეკლესიო სკოლების სა-  
ეპარქიო საბჭოებში სკოლებში მუქთად და-  
სარიგებლათ.



## ქართული ლექსიკონის შემუშავების შესახებ.

ამას წინეთ „სახალხო გაზეთში“ იყო გა-  
მოთქმული ის აზრი, რომ სასურველია ახალი  
ლექსიკონი გამოიცეს უფრო ვრცელად, და რომ  
ამისათვის საჭიროა შეიკრიბოს ყოველგან ახალ-  
ახალი სიტყვებით. ლექსიკონის მნიშვნელობა-  
ზედ საზოგადოთ აქ არას ვიტყვით, მხოლოდ  
იმას მოგახსენებთ, რომ ქართული ლექსიკონის  
გამდიდრება — შემუშავება ახალ-ახალი სიტყვე-  
ბით, რომელსაც დღესაც ხმარობს ხალხი და  
რომლებიც დღევანდელმა ლიტერატურამ არ  
იცის, ძლიერ საჭიროა. ჩვენი ლინგვისტიკა  
ხომ ძლიერ დარიბია და ეს ერთის შერით ჩვენი  
ლექსიკონის სილარიბითაც აისწება. ფილო-  
გიური ნაშრომში ძლიერ ნაკლებათ გვაქვს და  
ამიტომაც არის, რომ ქართველობისაგან განა-  
თქმულ გაირტომობით ერთი სვანები, მეგრელები,  
იგნილოები და სხვები. ნამდვილად კი ესენი ერთი  
და იმავე ტომის ხალხია, ერთა და იმავე ენა-  
ზედ საუბრობენ, თუმცა და დროთა ვითარე-  
ბის გამო მათი სასაუბრო ენა ერთი მეორეს  
დაშორებია. ქართული ენა მდიდარია და ჩვე-  
ნი ლექსიკონი-კი ღარიბია სიტყვებით, რაც  
ისევ ჩვენი ბრალია. თამამად ვიტყვით, რომ კერ-  
ძოთ სვანური ენა უშრეტი სალაროს ძველე-  
ბური ქართულის ენისა და საზოგადოთ ხალ-  
ხური პოეზია და სასაუბრო ენა საესკა მარგა-

ლიტი სიტყვებით. უმეტეს ვიტყვით: სვანური  
ენის საშვალებით ძლიერ გაადვილდება ვანური  
ლურსმული წარწერების წილით.

დღეს სვანი გეტყვის: „მუქათ სიკეთ  
მყრ“ (მუქათიდ სიკეთე მიყავ (რა)); „ორი-  
ოდეთ ყურბევილ მუღავე“ (ორიოდე ყურბე-  
ლი \*) მოვიღე (მაქვს). „ორლავ მარე\*\*“ ხი,  
გვალ ქორხანქა“ (ორლავი (ორგული) კაცი  
ხარ; გვალე (გაღი) ქორითვან (სახლიდვან).

ბევრი მარგალიტი სიტყვებია კიდევ და-  
ცული ხალხში, ჩვენ-კი არ ვიცით. მაგალი-  
თისთვინ ავილოთ რამდენიმე სიტყვა, რომლე-  
ბიც დღეს ხმარებაშია ხალხში (სვანეთ ლე-  
ჩემში) და ქართულს ოქსიკონში-კი მათ მე-  
ვერ შევხვდი, აწინდელს ლიტერატურაშიაც  
ვერ ნახავთ. სიტყვა „ეკონომ“, ეკონომი,  
ეკონомიტ“ ჩუბინაშვილის ოქსიკონში არის  
ქართულად ნაწევნები: ვზოგავ, დაზოგვით, და-  
მზოგავი, როდესაც ხალხში ამის ნამდე-  
ლი გამომხარევი სიტყვაა — ემოშეირნეობ, მო-  
მჭირნედ, მომჭირნე. რატომ არ შეიძლება,  
რომ ეკონომს მომჭირნე უწოდოთ ჩვენებურათ?  
სიტყვა „პრამი“ ჩუბინაშვილს ნათარმენი აქვს:  
სწორედ, გასწვრივ, პირისპირ, დამართებით,  
პირში; ხალხში ამის გამომხატველი სიტყვაა  
კიდევ „ჯიქურ“. სიტყვა „ერჯაქ“ ქართუ-  
ლად ჩუბინაშვილს აღნიშვნული აქვს მოსავალად  
მაშინ, როდესაც ხალხში ამის ღრმა გამომხა-  
ტველი სიტყვაა კიდევ „მოლავი“. სიტყვის მი-  
სუსტებული — გამომხატველი სიტყვაა კიდევ  
„მინავებული“. სვანურად „ლანავ“ ნიშნავს  
ორსულს (დედა-კაც). მინდილს, თავსაფარს აქ  
ეძახია „ფეშტეგმალსა“. ტურის, დინგის გა-  
მომხატველი სიტყვაა კიდევ „ტუტური“. ორ-  
გულს სვანეთში და ოქეჩემში „ორლავს“ ეძა-  
ხიან. კაცს რომ ვერაფრით დააჯერებ, ამა-  
ზედ აქ იტყვიან: „არ შეიკალათ.“ მეზობლუ-  
რად რაიმე ნიერის ნათხოვრობას ეძახიან: „სა-  
უკვიპა, საციქვი.“ ჩანჩქერს სვანურადა ჰქვიან

\* ) ი. სახარებაში.

\*\*) რომელთა ბატონობის ნაშთი.

„მაჩხაფ“ (მჩქეფი, მჩქეფარე). რგვალად გამომცვარს მოდიდონ პურს ეძახიან სვანეთში „უყურბევილს“ საყინულეს აქეთ ეძახიან „ოლოს“ რათ არ შეიძლება, რომ საყინულეს მაგიერ სიტყვა „ოლო“ ვიხმაროთ? ჩემი ფიქრით სიტყვა საყინულე ნიშნავს ჭურჭელს, სადაც ყინული მზადდება, ან ინახება. სვანურად ჩარიხო იტყვიე „ს გამომხატველი სიტყვა სვიმრა“ (როგორც რუსული „ვეცე“); სვანურად ბინძურს ეძახიან „წილაარ“ (სახარების „წილოვანი“). კიდევ ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ აქ ესეც კმარა. ჩვენ კიდევ იმას ვიტყვით, რომ საჭიროა ჩვენი ლექსიკონის შევსება ახალიასალ სიტყვებით და რომ ამ შემთხვევაში კერძოთ სვანური ენა დიდ დახმარებას გავვიწევს.

სასურველია ამიტომ სოფლის მღვდლებმა და მასწავლებლებმა იკიოსონ სიტყვების შეკრება და გაზეოთში გამოქვეყნება, ან წერა-კითხვის საზოგადოებისადმი მიწოდება, რომელ მაც ამ შევსება მეთაურობას უნდა გასწიოს. თითო მღვდელმა და მაწავლებელმა რომ ორი სამი სიტყვა შესძინოს ლექსიკონს, ამით ბევრი რამ გაკეთდება. ესეც რომ არ იყოს, ვალდებული ვართ სამშობლოს, რომელმაც გამოგვზარდა, მუქაფად ვერგოთ რითმე.

**ბლალ. მღვდელი ი. ჩარგიანი**

დ. ცაგერი.  
14 მარტი 1911 წ.



სი იმ სამრევლოებისა, რომელთაც წრეულს დაენიშნა დამატებითი ჯამაგირი.

სახელწოდება ეკლესიათა. | რაოდენობა დამატებითი ჯამაგირისა.

1) ბორითის წმიდა გიორგის .	. 163 გ. 60 კ.
2) ბოვნის წმ. გიორგის .	. 138 —
3) ტოლის მაცხოვრის .	. 264 " 60 "
4) ნოლის წმ. გიორგის .	. 640 " 10 "
5) სხევას წმ. გიორგის .	. 264 " 60 "
6) უსახელოს წმ. გიორგის .	. 235 " 20 "
7) კარეთის მთავარ ანგელოზის .	. 239 " 12 "
8) ფარახეთის მთავარ ანგელოზის .	. 268 " 52 "
9) მიქარწმილის მთავარ ანგელოზის .	. 286 " 16 "
10) ზედაბავრის ნათლის-მცემლის .	. 266 " 56 "
11) ცახის მაცხოვრის .	. 268 " 58 "
12) აგარის წმ. გიორგის .	. 264 " 60 "
13) ბუგულის ღვთის-მშობლის .	. 286 " 16 "
14) ხევის სამების .	. 286 " 16 "
15) ხვანგვარის წმ. გიორგის .	. 284 " 20 "
16) მობლის მთავარ ანგელოზის .	. 266 " 67 "
17) პილევის წმ. გიორგის .	. 143 " 30 "
18) წევის წმ. გიორგის .	. 152 " 90
19) წევის წმ. გიორგის მეორე შტატს .	. 133 " 30
20) დიდ-ჭიხაიშის მედავითნეს .	. 75 " 50

იმერეთის ეპარქიაში უმაჯამაგირო სამრევლოები დარჩა კიდევ 156, ამათგან 43 პირველი რიგისა, ე. ი. ისეთები, რომელთაც სხვებზე აღრე უნდა დაენიშნოს ჯამაგირი, ხოლო დანარჩენი 118 მეორე რიგისა.



## ახალი სოფელი

(თანეთის შაზრა).

წასრული თვის თებერვლის 13 ახალ სოფელში მცხოვრებთ გლეხებს პქნდათ სოფლის ყრილობა, საცა მოელოდენ თითოების შაზრის უფროს ბ. განსკის, მომრიგებელ შუამავალს თ. დ. ბაგევაძეს და ბოქაულს ბ. ვაშაძეს.

მიზეზი სოფლის ყრილობისა ის იყო, რომა, ყრილობას უნდა მოესმინა უფროსების წინა-დადგმა ამ სოფელში ერთ კლასიანი სამინი-სტრი შეოლის გახსნის შესახებ. ხალხს წინაოვე გაგებული ჰქონდათ შეოლის გახსნის შესახებ, და სიხარულით მოელოდენ უფროსების მოს-ვლის. მა დღეს დღეც მშვენიერი გამოკიდა, თითქმის მთელ ზამთარში არც კი ყოფილი როცისმე ამისთანა დღე. სწორეთ შუადღე იქ-ნებოდა, რომა უფროსები დაპირებისამებრ მოადგნენ ეტლით სოფლის ყრილობას. ყრი-ლობაშავე იყვნენ რამთაცნიმე საპატიო პირნეც მოსული. ჩვეულებრივი სალამის შემდეგ, უფ-როსებმა რიგ რიგით წყნარათ და დააღავებით აუხსნეს ხალხს შეოლის, და სწავლა განათლე-ბის მნიშვნელობა, და რომ უსწავლელი კაცი ყოველთვის დაჩაგრულ-დაქვეითებულია, და ის რომ დღეს შემდეგ თქვენი შეილები მაინც თქვენსავით უსწავლელნი არ დარჩნენ : მიტომ შეოლა უნდა გაგიხსნათ; ვიშუამდგომლებთ და პირობასაც გაძლევთ, რომა ას თუმანს (1000 მ.) ხაზინა მოგცემთ შეოლის შენობი-თვის ასაგებათ, და ხეტყესაც სახელმწიფო ტყი-დან მოგცემენ, მარტო მოზიდვა იქნება თქვე-ნით მასწავლებლაც სახელმწიფოთ მოგცემენ, მხოლოდ შეზა და სტოროვი იქნება თქვენით, დასძინეს უფროსებმა. ასე, უფროსები რომ ამ ტკბილ მეგობრულ ბაასში იყვნენ ხალხთან, თურმე ნუ ბაანებთ, საუბედუროთ ისეთი ბო-როტი შავბნელნი პირნი, რომელთაც დაწვა და ჭურდობა ხელობათ აულიათ და ძვირბილში გასჯლომიათ, ისინი ყრილობაში დაძვრე-ბოდენ და საწყილ ხალხს მუქარას აძლევდენ. „თანხმა არ გახდეთ შეოლის გახსნაზედ, არ მოაწეროთ განახენს ხელი, თორემ ვა თქვენს დღეს, გადაწვამთ.“

მართლაც და წარმოიდგინეთ, ის ხალხი რომელიც გუშინ და გუშინ თავიანთ მღვდელს ეხვეწებოდენ, გვიშველე რამე, დაგვე-ხმარე რომ ჩვენი სოფელიც შეოლის დირსი გახდესო, დღეს თავიანთ კრებაზედ მოსულ გულ შემატევარს უფროსებს ციუს უარს ეუ-ზნებიან: „შენი ჭირობე არ გვინდა შეოლოა!“

უფროსები სახტათ გაკვირვებულნი დარჩნენ და კადევ დალაგებით ეუბნებიან ხალხს: „რ-ტომ, ძებო, ჩვენ მაზრაში თითქმის ყველა სოფელებშია შეოლა და თქვენს სოფელში კი არა, სწავლა იუკილებელი საჭიროა, მეტიღრე ეხლანდელ დროში, და თქვენკი იძახით არ გვინდიო? თქვენსომ დიდი ხარჯი არა გხდებათ რა შეოლის მშენებაზედ. ზოგმა თქვა: ვისაც შვილის სწავლება უნდა, აგეთიანეთსაც არის შეოლა, თელავშიაც და ქალაქშიაც, წაიყვანოს და ასწავლოს. ვისაც არ შეუძლიან ეგრე შორს წაყვანა, იძათ რაღა უნდა ქნან? ეუბნებიან უფროსები ვისაც არ შეუძლიან როვორც ბეჭივად ყოფილი, ისევ ისე იცხოვონ, და ზო-გმა კადევ თქო: შვილი რო შეოლაში გა-ზარდო, მე რაღის გამომაღვება, ძროხა-ლო-რებში ვინდა ვატაროვო და სხვა... მა დროს წამოდგა ყრილობაში პატივცემული კაცი, რო-მელიც შემთხვევით ამ დღეს აქ დაესწრო, თია-ნელი მოვაჭრე მოსესა ხითაროვი და მიმართა ყრილობას: ძმებო, თქვენს მაგივრიდ მე მწყანს და გული მტკივა, რომ თქვენი შეილების კო-დვაში დგებით და კარზედ მომდგარს ბედა უკან აბრუნებთ, და რაღაცაც დღეს აქ შევეს-წარი, მე ჩემის მხრით 300 მ. გაწიჩამთ თქვე-ნი შეილების გულისოვის და აგრეთვე რაც ხე ტყე მასალათ დაგჭირდებათ სულ ჩემის ტყი-დგან გაძლევთ უფასოდ, ოღონდ თქვენი შე-ლების ცოდვაში ნუ დგებით და შეოლის ნუ უარ ჰყოფთ. ბ-ნ ხითაროვის წინადადება-ზედ ერთბაშათ ხალხი“ შეინძრო, სახეზედ სია-მოვნებით ღიმილმა გადაჰკრათ, მაგრამა ისევ ჩემია დაღონდენ. ეტყობოდათ, მოროტი პირ-ნი რომელიც დაძრებოდენ ხალხში, ხალხს მოაგონეს სიტყვები: „გადაგწვამთ;“ და მაინც ჰო ვერა თქვეს გამოცხადებით, თუმცა ზურგს უკან ბევრი გათხოვდა: „გაძმე! შეოლა როგორ არ გვინდა. ეს მაინც ხომ ვიცით, შეილები სალიათში რომ მიღიან, ვინც ქა-დალდი იცის, ის უკან კაცი მოდის და ვინც ქილალდი არ იცის, ის როგორც ბეჭივად მი-დის ისევე ბეჭივივე უკან მოდისო, მაგრამა რა ვქნით, რო არ გვიშვებენო“ და სხვა...

და ბოლოს მაზრის უფროსმა, მომრიგებელ-შუამავალმა და ბოქაულმა ხალხს კიდევ გა-უმეორეს და სხვათა შორის უთხრეს: „ხალ-ხნ! დღეს ჩვენს რჩევას და წინადაღებას არ ისმენთ, და თქვენი შვილების მოვალენი თქვენ იყავთ რომ, ხეალა და ზე თავათვე იხვეწუ-ბოდეთ შეოლა გაგვისხენით და სიწადელს ველარ მიეხწიოთთ.“ და დაბრუნდნ შინისკენ უფროსები. ასეთ დაბერავებული დღეს ჩვენი გლეხობა რომა მოელს სოფელს ორი თავზედ ხელ იდებული კაცი თავისი მუ-ქარით, შიშის ზარსა სცემს და საითაც უნდა, იქით აბრუნებს და ატრიალებს. იმ ყრილობის მეორ მესამე დღეს გამოირკვა, რომ ხალხის მუქარის მიმცემით ბოროტი პირი შეეგულ-ანებინათ ორს ისეთ პირთ, რომელნიც ინტ-

ლეგენტ წრეში სდებენ თავს. ცხატია იმ ორი იტელეგენტის ამნაირი ქცევა; ჯერ ერთი ჰი-რადი ვისთანმე საქმე იყო, და მეორეც ისა რომ, მათის აზრით, შეოლა რო გაიხსება ახალ-ლოფელში, ნასწავლი გამოვა ვინმე და იმათ კი ძველებური ბატონობა ჩამოერთმევათ და ხალხზედ გავლენას ველარ იქონიებენ..

აი ასეთი გულ-შემატკივარი ინტელე-გენლიც ბევრი პყავთ ჩვენს გლეხობას ეხლან-დელ დროში...

ქართველი ასებში ნაძვოვა.

რედაქტორი, მდვლელი სიმონ მჭედლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეგავა.

გ ა ნ ვ ს ა დ ე გ ა ნ 0.

# ТИПОГРАФСКИЕ

## И ЛИТОГРАФСКИЕ СЛУЖАЖИЕ,

наборщики, накладчики, стереотипщики, машинисты, цинкографы и т. д., ищущие места и содержатели типографий, нуждающиеся въ служащихъ, сообщаютъ объ этомъ черезъ

## ,Всеобщій Типографскій Указатель,

который читается во всѣхъ безъ исключенія типо-литографіяхъ всей Россіи. Предложеніе труда—50 коп. за публикацію. Спросъ труда—30 к. строка. Можно пересыпать почтовыми марками. Пробный № БЕЗПЛАТНО.

Редакція и контора Москва, Мясницкая 20.

## „შინაურ საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უფავებაი ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (ვედომოსი) წლიური საბლალოჩინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „მმობის“ გამოცემაა და ფულიც მას მკუთვნის. ფასი ბლანკებისა — რწევილი 5 კა. ვინც ორაზე მეტს დიაბარებს — 4 კა. ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი აღრეხით: კუთაისი, Правленіе религіозно-Просвѣтительного братства“.

Ольденбургская д. № 5.

იოსებ ხელაძის

## ცოცავა

— ა უ თ ა ი ს ჟ ი —

დებულობს ურეველგვარ სასტამბო საქმეებს:  
რესულს, ქართულს და აგრეთვე ეგრ. ენებზე.  
საქმე სრულ-  
დება სუფთად და თავის დროზე

სტამბი  
მთავარი სებულია  
ალექსანდრ. ქუჩ.,  
ექამ გრეივლოვის  
სახლებში.

სტამბა

გაუმჯობესებულია

— მრავალი —

ახალი შრაფტებით.

დაიბეჭდა და იყიდება „შინაური საქმეების“  
გამოცემა

## შემდეგი წიგნაკები:

ეპიზოდი დღიური  
— 1908 წლის 10 მარტი

## სრულ კავ-კლა.

კავკასიონის გადმოთან გმიროვი.

## მოხსენება

ბროფესორ ა. ვაგარელისა.

ნათარგმები

სინოდის ორგანის „Церковные Ведомости“-დან,  
1906 წლ.

მოწმობანი მე XVII—XVIII საუკ. ოფიციალურ  
მიწერ-მოწერებისა საქართველოს (იუდიას)  
გეღარინის აგროგეფალის შესხებ.

— ( თიპოგრაფია ხელავ კუთაისი. ) —